ა(ა)იპ ,,ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრმა” წარმატებით განახორციელა სსიპ ,,საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის” მიერ დაფინანსებული პროექტი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება”

მოსამზადებელი სამუშაოები

- კომუნიკაცია პოლიტიკურ პარტიებთან;
- კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების რეგიონალურ ოფისებთან;
- მუდმივი კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ ტრენინგებს.

აღნიშნული კომუნიკაცია მიმდინარეობდა ყოველდღიურ რეჟიმში, რადგან პროექტის წარმატება მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური პარტიებისა და მათი წევრების ჩართულობასა და მოტივაციაზე იყო დამოკიდებული.

ტრენინგების ჩატარების ადგილი

გაითვალისწინა რა ტრენინგის მონაწილეთა ინტერესები, ცენტრმა გადაწყვიტა, რომ ტრენინგები ჩატარებულიყო ადგილზე, რადგან მონაწილეებს მისცემოდათ შესაძლებლობა საღამოს დაბრუნებულიყვნენ შინ.

ტრენინგების ჩასატარებლად შერჩეულ იქნა ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“, რომლისგანაც მოხდა რუსთავსა და მარნეულში დარბაზის დაქირავება.

ტრენერები

აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ტრენერების შერჩევა;
- ტრენერებთან მომსახურების ხელშეკრულებების გარფორმება;
- ტრენერების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და მძღოლთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება;
- ტრენერების მიერ სატრენინგო მასალების მომზადება და ცენტრისთვის მიწოდება.

საკანცელარიო მასალა

ცენტრმა შეარჩია და შეისყიდა შემდეგი საკანცელარიო მასალა:

- ბლოკნოტები;
- კალმები;
- ფლიპჩარტი;
- ფლიპჩარტის დაფა;
- დაფის მარკერი;
- დაფის საშლელი;
- ქაღალდი.

ტექნიკა

პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა:

- კომპიუტერი (1 ერთეული);
- პროექტორი (1 ერთეული).

სახელმძღვანელო

ტრენერების მიერ მომზადებულ იქნა სახელმძღვანელო, რომელიც ითარგმნა პროფესიონალი თარჯიმნის მიერ და მოხდა მისი ბეჭდვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- სახელმძღვანელოს კორექტირება და რედაქტირება;
- სახელმძღვანელოს მთარგმნელის შერჩევა, მასთან ხელშეკრულების გაფორმება და თარგმნა;
- სახელმძღვანელოს დასაბეჭდად სტამბის შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება და სახელმძღვანელოების ბეჭდვა.

კვება

ტრენინგების მიმდინარეობის პერიოდში უზრუნველყოფილი იყო კვება. აღნიშნული მიზნით ცენტრმა შეარჩია შესაბამისი მომსახურების მომწოდებელი კომპანია, შეირჩა ოპტიმალური და ხარისხიანი მენიუ და გაფორმდა ხელშეკრულება.

ცოდნის შეფასება

ცენტრმა მოამზადა და დაბეჭდა სპეციალური კითხვარები, რომლებიც ტრენინგების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დაურიგდათ თითოეულ მონაწილეს.

აღნიშნული კითხვარების მიზანი ტრენინგების წარმატების შეფასება იყო.

ტესტები ანონიმური იყო.

ტესტების შედეგად გამოვლინდა 70%-იანი გაუმჯობესება, რამაც გადააჭარბა მოლოდინს.

პროგრამა

სხვა საორგანიზაციო საქმიანობა

- მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულებები ბუღალტერთან და კოორდინატორებთან;
- მომსახურების გაწევის შემდგომ მომწოდებლებთან გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები;
- შეირჩა ფოტოგრაფი და გაფორმდა ხელშეკრულება, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ტრენინგების სრული პროცესის ფოტოგრაფირება;
- მომზადდა და დაიბეჭდა სერტიფიკატები, რომლებიც ტრენინგების დასრულების შემდეგ დაურიგდათ მონაწილეებს.

IDMC
Institutiona
Developme
Monitoring
Center
ინსტიტუციურ
განვითარები
მონიტორინგ
ცენტრი

ბანერი

ტრენინგებისთვის მომზადდა ბანერი

სამახსოვრო საჩუქრები

მონაწილეთა წახალისების მიზნით მონაწილეებს დაურიგდათ სამახსოვრო საჩუქრები

ჭიქის დასადები

ჭიქა

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია
საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი
INSTITUTIONAL DEVELOPMENT
& MONITORING CENTRE

კალამი



და ეს ყველაფერი ეწყო პარკში

ტრენინგების ხარისხიანად ჩატარებისა და მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შერჩეულ იქნა გამოცდილი და კვალიფიციური ტრენერები.

ტრენინგებს ატარებდნენ როგორც ცენტრის, ისე მოწვეული ტრენერები:

ბაკურ კვაშილავა

ლევან ზარდალიშვილი

მიხეილ ჭილლაძე

ალექსანდრე სვანიშვილი

ნოდარ მელაშვილი

ირაკლი ჭანტურიძე

თამაზ ფოლადაშვილი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და წავლების ცენტრის კონტრიბუციის ფარგლებში გამოგზავნილი ტრენერი

ტრენინგის მონაწილე ავსებს კითხვარს

მონაწილეები

- საერთო ჯამში ტრენინგს შესაძლო 99 მონაწილისგან დაესწრო 97 მონაწილე, მათ შორის 72 მონაწილე იყო კავალიფიციური პარტიების წარმომადგენელი, ხოლო 25 არაკვალიფციური პარტიების წარმომადგენელი.
- ტრენინგებზე დამსწრეთაგან 39 იყო ქალი, ხოლო 58 მამაკაცი.
- ასეთი მაჩვენებელი განაპირობა მონაწილეებთან და პოლიტიკურ პარტიებთან ეფექტურმა კომუნიკაციამ და მაღალი ხარისხის ტრენინგებმა.
- მონაწილეები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტრენინგებით.

უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები

- ტრენინგებს ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც;
- ტრენინგებს აგრეთვე ესწრებოდა სპეციალური საჭიროების მქონე პირი, რომლისთვისაც უზრუნველყოფილ იქნა სურდოთარგმანი.

აღნიშნულისთვის მადლობას ვუხდით სწავლების ცენტრს!

თარჯიმანი უთარგმნის ტრენერის ნათქვამს სმენადაქვეითებულ პირს

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!